INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.geostat.ge) 2011 წლის 26 დეკემბერს განხორციელებული საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგის შედეგად გათვალისწინებული რეკომენდაციები 2012 წლის 08 თებერვლის მდგომარეობით

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge


ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI პარამეტრების მიხედვით
27.79%
72.21%
www.geostat.ge გამჭვირვალობის ხარისხი


ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
80.00%
88.91%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
66.67%
65.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40.00%
43.75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
59.26%
28.94%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
39.13%
39.33%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14.29%
46.25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40.00%
57.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28.57%
59.50%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%
100.00%

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძებოდა საქსტატის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიებოდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი:

**აღმასრულებელი დირექტორი**

**ზაზა ჭელიძე**

**საკონტაქტო ტელეფონები**: (+995 32) 2367210 (011)
**ელ-ფოსტა**: zchelidze@geostat.ge

**დაბადების თარიღი**: 09.04.1972

**ოჯახური მდგომარეობა**: დაოჯახებული

**განათლება**:

10.2002 - 09.2003 პოლიტიკური სწავლების ეროვნული ინსტიტუტი, ტოკიო, იაპონია. სახელმწიფო ფინანსების მაგისტრის დიპლომი
09.2002 - 06.2003 სასწავლო პრაქტიკა. იაპონიის ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სააგენტო. ტოკიო, იაპონია. სერთიფიკატი
09.1989 - 06.1994 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი. დიპლომი ეკონომისტის კვალიფიკაციით.

*ცვლილება: აღნიშნულ ქვე-განყოფილებას დაემატა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ფოტოსურათი და ფაქსის ნომერი:*

**აღმასრულებელი დირექტორი**

**ზაზა ჭელიძე**

**საკონტაქტო ტელეფონები**: (+995 32) 2367210 (011)

**ფაქსი**: (+995 32) 2367213
**ელ-ფოსტა**: zchelidze@geostat.ge

**დაბადების თარიღი**: 09.04.1972

**ოჯახური მდგომარეობა**: დაოჯახებული

**განათლება**:

10.2002 - 09.2003 პოლიტიკური სწავლების ეროვნული ინსტიტუტი, ტოკიო, იაპონია. სახელმწიფო ფინანსების მაგისტრის დიპლომი
09.2002 - 06.2003 სასწავლო პრაქტიკა. იაპონიის ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სააგენტო. ტოკიო, იაპონია. სერთიფიკატი
09.1989 - 06.1994 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი. დიპლომი ეკონომისტის კვალიფიკაციით.

**კვალიფიკაციის ამაღლება**:

10.2001 — სასწავლო კურსი იაპონიის ადმინისტრაციული, აუდიტორული და საფინანსო სისტემების შესახებ. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA). ტოკიო, იაპონია. სერთიფიკატი

11.2000 — სემინარი მონეტარული სტაბილურობის ხელშეწყობის შესახებ. ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი. ვენა, ავსტრია. სერთიფიკატი

06.2000 — სემინარი საგადასახადო შეთანხმებებზე. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ოფისი. ანკარა, თურქეთი. სერთიფიკატი

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მმართველობა“ განთავსებული იყო ორი ქვე-განყოფილება სათაურად „დირექტორის მოადგილე“:




ხოლო, მოცემული ქვე-განყოფილებებიდან ერთ-ერთი ქვე-განყოფილების შიგთავსი იყო ცარიელი, შესაბამისად არ მოიძიებოდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ერთი მოადგილის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, ხოლო მეორე მოადგილის შესახებ განთავსებულ ინფორმაციას აკლდა მისი ფოტოსურათი, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი:

## დირექტორის მოადგილე

**თენგიზ ცეკვავა**

**საკონტაქტო ტელეფონები**: (+995 32) 2367210 (003)
**ელ-ფოსტა**: ttsekvava@geostat.ge

**დაბადების თარიღი**: 26.04.1975

**განათლება**:

2000 - 2001 განვითარების ეკონომიკის მაგისტრი უილიამს კოლეჯი, მასაჩუსეთსი, აშშ; 1992 - 1997 ეკონომისტის დიპლომი (წარჩინებით) სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ეკონომიკის ფაკულტეტი, თსუ;

**სამუშაო გამოცდილება**:

2010 წლის აპრილიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი;

2008-2010 - მთავარი სპეციალისტი მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილება მაკროეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტი საქართველოს ეროვნული ბანკი;

2006-2008 – მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის ლექტორი ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;




***ცვლილება:*** *მოცემულ ქვე-განყოფილებას დაემატა მეორე მოადგილის - ნიკოლოზ გაგუას შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მისი სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) და ფაქსის ნომერი, დაემატა აგრეთვე, პირველი მოადგილის - თენგიზ ცაკვავას ფოტოსურათი და ფაქსის ნომერი:*



**დირექტორის მოადგილე**

**ნიკოლოზ გაგუა**

**საკონტაქტო ტელეფონები:** (+995 32) 2367210 (002)
**ფაქსი:** (+995 32) 2367213
**ელ-ფოსტა:** ngagua@geostat.ge

**დაბადების თარიღი:** 21.06.1975

**განათლება:**

1992 – 1997 ეკონომისტის დიპლომი (წარჩინებით) სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ეკონომიკის ფაკულტეტი, თსუ;

**სამუშაო გამოცდილება:**

2011 წლის ნოემბრიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი;

2010 – 2011 ფინანსური დირექტორი შპს ქეი1;

2009 – 2011 პროექტის განმახორციელებელი რგოლის ხელმძღვანელი; სახელმწიფო ფინანსების მართვის მხარდაჭერის პროექტი.

2009 – 2009 მრჩეველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

2006 – 2009 ფინანსური დირექტორი, შპს სთრაიდ ჯორჯია; ;

2001 – 2006 ფინანსური დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

1997 – 2001 ეკონომიკური მრჩეველი, სახელმწიფო კანცელარია.

**უცხო ენა:**
ინგლისური - სრულყოფილად
გერმანული- კარგად
ფრანგული- კარგად

## დირექტორის მოადგილე

### თენგიზ ცეკვავა

**საკონტაქტო ტელეფონები**: (+995 32) 2367210 (003)
**ფაქსი**: (+995 32) 2367213
**ელ-ფოსტა**: ttsekvava@geostat.ge

**დაბადების თარიღი**: 26.04.1975

**განათლება**:

2000 - 2001 განვითარების ეკონომიკის მაგისტრი უილიამს კოლეჯი, მასაჩუსეთსი, აშშ; 1992 - 1997 ეკონომისტის დიპლომი (წარჩინებით) სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ეკონომიკის ფაკულტეტი, თსუ;

**სამუშაო გამოცდილება**:

2010 წლის აპრილიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი;

2008-2010 - მთავარი სპეციალისტი მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილება მაკროეკონომიკის და სტატისტიკის დეპარტამენტი საქართველოს ეროვნული ბანკი;

2006-2008 – მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის ლექტორი ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;

2006-2008 – სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს უფროსი სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

2004-2005 – ადგილობრივი კოორდინატორი ფინანსური პოლიტიკის მიმართულება ოქსფორდის მართვის ჯგუფი პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროგრამა;

2004 – საზოგადოებრივი ფინანსების ლექტორი ეკონომიკის ფაკულტეტი, თსუ;

2003 – ფინანსური კონსულტანტი საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა მართვის ცენტრი (CERMA) მსოფლიო ბანკი;

1997-2000 – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მინისტრის აპარატი უკანასკნელი პოზიცია: სამმართველოს უფროსის მოადგილე;

**2.** არ მოიძიებოდა ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

***ცვლილება:*** *დაემატა ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:*

**3.** ვებ-გვერდზე არ იყო მოცემული საქსტატის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა არ იყო მითითებული, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

**საკონტაქტო ინფორმაცია**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

| | |
|---|---|
| მისამართი: | ცენტრალური ოფისი: დაბა წყნეთი, 0181, გურამიშვილის ქ. 39. თბილისის ოფისი: 0180, ცოტნე დადიანის ქ. 30, სართული |
| ტელეფონი: | (+995 32) 236 72 10, დამ. 011 |
| ფაქსი: | (+995 32) 236 72 13 |
| ელ-ფოსტა: | info@geostat.ge |

*ცვლილება: ვებ-გვერდზე წარმოდგენილ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს დაემატა შესაბამისი აღნიშვნა:*



**საკონტაქტო ინფორმაცია**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

| | |
|---|---|
| მისამართი: | ცენტრალური ოფისი: დაბა წყნეთი, 0181, გურამიშვილის ქ. 39. თბილისის ოფისი: 0180, ცოტნე დადიანის ქ. 30, სართული |
| ტელეფონი: | (+995 32) 236 72 10, დამ. 011 |
| | (+995 32) 236 72 10, დამ. 110 (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური) |
| ფაქსი: | (+995 32) 236 72 13 |
| ელ-ფოსტა: | info@geostat.ge |

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**4.** ვებ-გვერდზე არ მოიძიებოდა საქსტატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიებოდა სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიებოდა სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიებოდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

*ცვლილება: მოცემულ ქვე-განყოფილებას დაემატა სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციების აღწერა,*

*სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:*

**ადმინისტრაციული სამმართველო**

სამმართველოს უფროსი: ბორის (ბათუ) ეზუგბაია
საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: (+995 32) 236 72 10 (100)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: bezugbaia@geostat.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – «საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" ადმინისტრაციული სამმართველოს დებულება
**გადმოწერეთ**

**შიდა აუდიტის სამმართველო**

სამმართველოს უფროსი: ვრანგელ (გელა) ცეცხლაძე
საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: (+995 32) 236 72 10 (070)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: gtsetskhladze@geostat.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – «საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" შიდა აუდიტის სამმართველოს დებულება
**გადმოწერეთ**

ამასთან, მოცემულ სტრუქტურულ ხეზე წარმოდგენილი იყო ორი სტრუქტურული ერთეული, რომელიც საქსტატის მოქმედი დებულების მიხედვით არ არის განსაზღვრული, როგორც საქსტატის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, კერძოდ:

- სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;
- მეთოდოლოგიის სამმართველო:




*ცვლილება: ზემოთ ხსენებული ორი სტრუქტურული ერთეული ამოღებულია სტრუქტურული ხიდან, აგრეთვე, აღნიშნულ ქვე-განყოფილებას დაემატა საქასტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგი:*



**5.** მოქმედი დებულების თანახმად საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო. ვებ-გვერდზე არ იყო  წარმოდგენილი ხსენებული საბჭოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საბჭოს შემადგენლობის დანიშვნის წესი;
- საბჭოს ფუნქციებისა აღწერა.

***ცვლილება:*** *მოცემულ ქვე-განყოფილებას დაემატა საქსტატის საბჭოს დებულება და აგრეთვე, საბჭოს დანიშვნის წესი და ფუნქციები:*



**საბჭო**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) საბჭოს წევრები:**

- **ჭელიძე ზაზა** - საბჭოს თავმჯდომარე, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი
- **ასლანიკაშვილი ფრიდონი**
- **ბაბუნაშვილი ამირანი**
- **მეგრელიშვილი ვახტანგი**
- **მესტვირიშვილი არჩილი**
- **ნადარეიშვილი ვაჟა**
- **ჯანდიერი გია**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დანიშვნის წესი და ფუნქციები

**6.** ვებ-გვერდზე არ მოიძიებოდა საქსტატის ტერიტრიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია,  კერძოდ:

- არ მოიძიებოდა ტერიტორიული ორგანოების ძირითადი ფუნქციების აღწერა;
- მიმოფანტულად იყო წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფაქსის ნომრები;
- არასრული სახით იყო წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება);

- არ მოძიებოდა ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. მოცემულია მხოლოდ თბილისის ბიუროს ტერიტორიული ორგანოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი:

***ცვლილება:*** *აღნიშნულ ქვე-განყოფილებას დაემატა ტერიტორიული ორგანოების ძირითადი ფუნქციების აღწერა, დაემატა აგრეთვე ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფაქსის ნომრები (სრული სახით):*



**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თბილისის სტატისტიკის ბიურო**

ბიუროს უფროსი – მაია გუნეკაძე; ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №30, მე-4 სართული, საფოსტო ინდექსი 0180; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 236 72 15, მობ.: (+995) 595 90 11 06; ელ.ფოსტა: tbilisi@geostat.ge;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თბილისის სტატისტიკის ბიუროს დებულება

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბორჯომის სამმართველო**

სამმართველოს უფროსი - ნათელა გოგალაძე; ბორჯომი, წმინდა ნინოს №11, საფოსტო ინდექსი 1200; ტელეფონი/ფაქსი: 0(367) 22 23 64; მობ.: (+995) 595 11 50 53; ელ.ფოსტა: ngogaladze@geostat.ge;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბორჯომის სამმართველოს დებულება

აგრეთვე, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული ტერიტორიული ორგანოები მოცემული იყო მხოლოდ ქალაქის სახელწოდებათა მიხედვით, ხოლო, საქსტატის მოქმედი დებულების თანახმად, ტერიტორიულ ორგანოების სახელწოდებებს, თბილისის ტერიტორიული ორგანოს გარდა, წარმოადგენენ სამმართველოები, ხოლო თბილისის ტერიტორიული ორგანოს შემთხვევაში ოფიციალურის სახელწოდებაა - თბილისის საქსტატის ბიურო.

***ცვლილება:*** *აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში თითოეულ ტერიტორიულ ორგანო წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური სახელწოდებით.*

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**7.** ვებ-გვერდზე არ მოიძიებოდა საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური სამუშაოებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამები.

***ცვლილება:*** *ვებ-გვერდზე წარმოდგენილია საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური სამუშაოებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამები:*

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**8.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული იყო სამართლებრივი აქტების ძალზედ მწირი რაოდენობა, ამასთან, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში არ მოიძიებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

***ცვლილება:*** *ხსენებულ ქვე-განყოფილებაში განთავსდა საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები:*





## საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტსა და უკრაინის სტატისტიკის სამინისტროს შორის სტატისტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალურ სამმართველოსა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და რუმინეთის სტატისტიკის ეროვნულ კომისიას შორის თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოს სტატისიტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და უზბეკეთის რესპუბლიკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე;
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

ამასთან, არ მოიძიებოდა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის საქსტატის საშტატო განრიგის განმსაზღვრელი ბრძანება).

***ცვლილება:*** *ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ორგანიზაციული სტრუქტურა“ წარმოდგენილია საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგი:*

## ორგანიზაციული სტრუქტურა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგი

აგრეთვე აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი საქსტატის დებულება მოცემული იყო ძველი მდგომარეობით;

***ცვლილება:*** *დებულება წარმოდგენილია უახლესი რედაქციით.*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**9.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტენდერები“, მოცემული იყო მხოლოდ სატენდერო განცხადებები:




აგრეთვე, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:

***ცვლილება:*** *სამწუხაროდ აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აღარ არის წარმოდგენილი ზემოხსენებული სახის ინფორმაცია, არამედ ხსენებული ქვე-განყოფილება მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდზე გადადასასვლელ ბმულს.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**10.** ვებ-გვერდზე არ იყო წარმოდგენილი საქსტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიებოდა საქსტატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

***ცვლილება:*** *ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიუჯეტი“ განთავსდა საქსტატისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 2009, 2010, 2011 და 2012 წლის ასიგნებების შესახებ ინფორმაცია:*




| | საქსტატი -2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნება | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **დასახელება** | **2009 წელი** | **2010წელი** | **2011 წელი** | **2012 წელი** |
| **47 00** | **სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი** | **4,568.90** | **4,683.00** | **4,201.00** | **4500** |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 169 | 149 | 149 | 149 |
| | ხარჯები | 4,541.30 | 4,595.00 | 4,073.00 | 4485 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,538.30 | 1,457.50 | 1,350.60 | 1883.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 2,976.00 | 3,106.30 | 2,676.40 | 2565.2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 20.8 | 22.4 | 25 | 26 |
| | სხვა ხარჯები | 6.2 | 8.7 | 21 | 10 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27.6 | 88 | 35 | 15 |
| | ვალდებულებების კლება | 0 | 0 | 93 | 0 |
| **47 01** | **სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის აპარატი** | **2,907.30** | **3,512.50** | **2,254.00** | **2635** |
| | მომუშავეთა რიცხოვნება | 169 | 149 | 149 | 149 |
| | ხარჯები | 2,879.60 | 3,424.50 | 2,126.00 | 2620 |

**დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ჩვენს მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციები:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძება საქსტატის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება საქსტატის აღმასრულებელი დირექტორისა და მოადგილეების კომპეტენციის აღწერა;

**2.** არ მოიძიება საქსტატის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**3.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქსტატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება საქსტატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი. აგრეთვე, საქსტატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**4.** ვებ-გვერდზე არ მოიძიებოდა საქსტატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;
- არ მოძიებოდა სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

**5.** მოქმედი დებულების თანახმად საქსტატთან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ხსენებული საბჭოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საბჭოს სტრუქტურის აღწერა;
- საბჭოს წევრებისა და აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძვლების აღწერა;

- არ მოიძიებოდა საბჭოს შემადგენლობის წევრების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

**6.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქსტატის ტერიტრიული ორგანოების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოძიება ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**7.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა (ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“ ცარიელია) და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საქსტატის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის ვრცელი წლიური ანგარიში (სასურველია pdf ფორმატის ელექტრონული ფაილის სახით), ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ შემუშავებული საქსტატის ბიუჯეტისა და ხარჯთა ნუსხის პროექტი) *და ა.შ.*

არ მოიძიება აგრეთვე, აღმასრულებელი დირექტორის მიერ შემუშავებული სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტები და მეთოდოლოგიები; ადმინისტრაციული სამმართველოს მიერ შემუშავებული შესყიდვების წლიური გეგმები.

ამასთან, ვებ გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მეტა მონაცემები“ არსებული ქვე-განყოფილებები, გარდა განყოფილებისა სათაურად „სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა“ ცარიელია, კერძოდ, ცარიელია შემდეგი ქვე-განყოფილებების შიგთავსი:

- „ზოგადი ნაწილი“:




- „ეროვნული ანგარიშები“:




- „წარმოების ინდექსები“:




- „საქონლით საგარეო ვაჭრობა“:




- „სამომხმარებლო ფასები“:




- „სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასები“:




- „დასაქმება“:




- „სიღარიბე“:




- „განათლება“:



- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“:




- „ბიზნეს სტატისტიკა“:




- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**8.** ვებ-გვერდზე განთავსებულია საქსტატის საქმიანობის ერთადერთი, 2010 წლის ანგარიში:

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „მომხმარებელთა მომსახურება“ განთავსებულია 2011 წლის კვარტალური ანგარიშები განხორციელებულ ქმედებათა მშრალი ჩამონათვალის სახით, სასურველია აქვე განთავსდეს აგრეთვე, 2011 წლის ვრცელი წლიური ანგარიში (pdf ფორმატის ელექტრონული ფაილის სახით):

**საქსტატის ანგარიში**

2011 წლის იანვარ-სექტემბერი

- მომზადებულია 43 პუბლიკაცია
- გავრცელებულია 113 პრეს-რელიზი
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 145 717 მომხმარებელმა
- საქსტატიდან წერილობით გასულია 1 272 სტატისტიკური ინფორმაცია

2011 წლის იანვარ-ივნისი

- მომზადებულია 27 პუბლიკაცია
- გავრცელებულია 70 პრეს-რელიზი
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 104 397 მომხმარებელმა
- საქსტატიდან წერილობით გასულია 831 სტატისტიკური ინფორმაცია

2011 წლის იანვარ-მარტი

- მომზადებულია 14 პუბლიკაცია
- გავრცელებულია 34 პრეს-რელიზი
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 48 218 მომხმარებელმა
- საქსტატიდან წერილობით გასულია 363 სტატისტიკური ინფორმაცია

**9.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქსტატი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქსტატი.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პროექტები“, პროექტების ჩამონათვალს შორის მოცემულია აგრეთვე, პროგრამა; სასურველია, ხსენებული ქვე-განყოფილებიდან აღნიშნული პროგრამა გადატანილ იქნეს შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში სათაურად „პროგრამა“:

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათავლი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქსტატი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_proeqtebi.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათავლი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქსტატი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის*

*მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_programebi.pdf).*

**10.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები:

**11.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქსტატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**12.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არ მოძიება საქსტატის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის საქსტატის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო არეალის განმსაზღვრელი ბრძანება), აღმასრულებელი დირექტორის აპარატის მიერ მომზადებული სტატისტიკის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - საქსტატის დებულება და შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**13.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

**14.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საქსტატში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**15.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქსტატსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, საქსტატსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**16.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტენდერები“, სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, საქსტატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების

(ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, საქსტატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**17.** ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მოცემული ქვე-განყოფილების შიგთავსი ცარიელია და იუწყება, რომ ამჟამად საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ვაკანსია არ არის:

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (საქსტატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**18.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქსტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საქსტატის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის მიმართული***

*ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_xarjva.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_budget.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება საქსტატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
*http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_xelfasi.premia.pdf*

*აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია*

*(კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის საქსტატის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saqstati_xelfasebi.pdf);*

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქსტატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

## დასკვნა

IDFI-ის პარამეტრების მიხედვით ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი პირველად შეფასებასთან მიმართებით გაუმჯობესებულია 9.23 %-ით. ცვლილებების შედეგად, საქართველოს 85 საჯარო დაწესებულებას შორის, სტატისტიკის სამსახურის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ინფორმაციული გამჭვირვალობის პარამეტრებით მიმდინარე რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა.

იმიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული, თავად ის ფაქტი, რომ სამსახურმა ასე ოპერატიულად და მოკლე დროში მოახდინა საკუთარი ვებ-გვერდის ინფორმაციული განახლება, გვიტოვებს იმედს მომავალი თანამშრომლობისა და ყველასთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ელექტრონული რესურსის შემდგომი გაუმჯობესებისა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50.00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63.16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
0.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
38.46%
0
0.1
0.2
0.3
0.4
0.5
0.6
0.7
0.8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის მენიუს წარწერები ძალია მცირე შრიფტით არის გამოსახული რაც ართულებს ტექსტის მარტივ აღქმას:




- **ძიება**

საძიებო მოდული საკმაოდ კარგად მუშაობს, ეძებს შედეგიანად, თუმცა შედეგების არჩევა გართულებულია. მაგალითად, ერთ, რომელიმე შედეგში შესვლა შეუძლებელია თავად ტექსტზე ან მის სათაურზე დაჭერით, მასში შესვლა ხდება მხოლოდ სპეციალურ სიმბოლოზე დაჭერით, რომელიც საკმაოდ პატარა ზომის არის და შეუმჩნეველია:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმის გამოყენების შემდეგ გამოდის შემდეგი შეტყობინება:

შეტყობინება უნდა გამოვიდეს ვებ-გვერდზე და არა ცარიელ გვერდზე;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე არსებული ზოგიერთი ფაილის ბმული, არ ფუნქციონირებს (ან წაშლილია), მაგ:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის სათაური ( Title ) ყველა გვერდისთვის უნდა იყოს უნიკალური, ამ შემთხვევაში კი სათაური არც-ერთ გვერდზე არ იცვლება:




სათაურის ცვლილება მნიშვნელოვანია როგორც მომხმარებლებისთვის ასევე საძიებო სისტემებისთვის;

- **ონლაინ სერვისები**

რადგან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შეხება აქვს სტატისტიკურ მონაცემებთან, მან პირველ რიგში უნდა იფიქროს სტატისტიკის სწორ ვიზუალიზაციაზე. დღეს-დღეობით ინტერნეტ სივრცეში არსებობს ინფორმაციის ვიზუალიზაციის უამრავი საშუალება, როგორც ფასიანი ასევე უფასოც. თუმცა, ჯერ-ჯერობით არც ერთი მათგანი არ არის გამოყენებული ვებ-გვერდზე.

სტატისტიკა და სტატისტიკის ვიზუალიზაცია, რომელიც სხვადასხვა დოკუმენტებში გვხვდება, მაგ:



დაფიქსირდა, ხოლო დეფლატორის – 10,5 პროცენტი.

ცხრილი №1

| | III კვ. 2010 | III კვ. 2011* |
|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) | 5 362,4 | 6 203,0 |
| მშპ ერთ სულზე (ლარი) | 1 208,7 | 1 387,9 |
| მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი) | 2 916,8 | 3 738,0 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ. დოლარი) | 657,5 | 836,4 |
| მშპ-ის რეალური ზრდა (%) | 6,7 | 7,5 |
| მშპ-ის დეფლატორი (%) | 9,4 | 7,7 |

* წინასწარი მონაცემები

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის მართვის პანელის მიგნება საკმაოდ მარტივია:

საჭიროა მისი უკეთესად დამალვა;

ვებ-გვერდის GET და POST ცვლადები არ იფილტრება. მაგალითად თუ რომელიმე ცვლადს დავუწერთ ბრჭყალებს, გვერდი აღარ იტვირთება:




სავარაუდოდ ეს ხავეზი არის Blind Sql Injection-ი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. იგივე ცვლადების მეშვეობით ვებ-გვერდზე შესაძლებელია განხორციელდეს კიბერ შეტევა (XSS BUG):




ამასთან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოქმედი დებულების მე-9 მუხლის, მე-13 პუნქტის თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას შეადგენს სტატისტიკის ვებ-გვერდის ადმინისტრირება, განახლება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შესაბამისად აღნიშნული მითითებები, რაც უსაფრთხოების ბლოკში დაიწერა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

## ➢ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდზე ატვირთული ფაილი სჯობს, იყოს უნიკოდურ ფორმატში, რადგან უნიკოდურ ფორმატში ქართული წარწერები მეტად მოძიებადია საძიებო სისტემებში. ვებ-გვერდზე www.Geostat.ge არის როგორც უნიკოდური ასევე არაუნიკოდური დოკუმენტები:




| | A | B | C | D | E | F | G |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საარსებო მინიმუმი. საქართველო (ლარი თვეში) | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
| 62 | ერთსულიანი | 118,5 | 117,0 | 119,3 | 114,9 | 116,5 | 114, |
| 63 | ორსულიანი | 189,6 | 187,2 | 191,0 | 183,8 | 186,5 | 182, |
| 64 | სამსულიანი | 213,3 | 210,6 | 214,8 | 206,8 | 209,8 | 205, |
| 65 | ოთხსულიანი | 237,0 | 234,0 | 238,7 | 229,8 | 233,1 | 228, |
| 66 | ხუთსულიანი | 266,7 | 263,2 | 268,5 | 258,5 | 262,2 | 257, |
| 67 | ექვსსულიანი და მეტი | 315,3 | 311,2 | 317,5 | 305,6 | 310,0 | 303, |
| 68 | 2010 წელი | | | | | | |
| 69 | შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი | 128,0 | 125,8 | 125,5 | 127,4 | 128,9 | 128, |
| 70 | საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი | 113,4 | 111,4 | 111,1 | 112,8 | 114,1 | 113, |
| 71 | საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი | 214,7 | 211,0 | 210,5 | 213,6 | 216,2 | 215, |
| 72 | ოჯახის ტიპი | | | | | | |
| 73 | ერთსულიანი | 113,4 | 111,4 | 111,1 | 112,8 | 114,1 | 113, |
| 74 | ორსულიანი | 181,4 | 178,3 | 177,8 | 180,5 | 182,6 | 182, |

ვებ-გვერდის სიახლეების განყოფილებას აქვს თარიღის მიხედვით ფილტრაციის საშუალება:




თუმცა სხვა წლის ან თვის მონაცემების ჩატვირთვით არ იცვლება ვებ-გვერდის ძირითადი ბმული (URL), რაც ართულებს გვერდის გაზიარებასა და საძიებო სისტემებში ინდექსაციას;

ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი გვერდები:




სადაც არ არის აღნიშნული, რომ გვერდზე ინფორმაცია არ მოიპოვება, ან რომ ინფორმაცია მზადების პროცესშია.

სოციალურ ქსელ Facebook-ში არსებობს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს სამსახურის პროფილი, თუმცა როგორც ავღნიშნეთ, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პროფილი და არა ოფიციალური გვერდი. მისი ფუნქციები, შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა განსხვავებულია ოფიციალური გვერდისგან:




## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აღნიშნული საჯარო დაწესებულებას არ აქვს გამოყენებული ვებ-გვერდზე ინფორმაციის ვიზუალიზაციის თანამედროვე საშუალებები. სტატისტიკური ინფორმაცია, არის სწორედ ისეთი სპეციფიური თემა, სადაც აუცილებელია ინფორმაციის სორტირება, ფილტრაცია, შედარება და სხვა. ამიტომ, პირველ რიგში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ვებ-გვერდისთვის  უნდა შეიმუშაოს და დანერგოს სტატისტიკური ინფორმაციის ვიზუალიზაციის თანამედროვე მოდულები.